საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლუციური პარტია
მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 400 მანეთი

№ 72
სამშაბათი, ნოემბრის 15
1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოოპერატივ „მეურნე“-ს

მომხმარებელთა საყურადღებოთ

მიღებულია დიდძალი საქონელი და ურიგდება მომხმარებლებს ხელმისაწვდომ ფასებში.

ბრინჯი, პურის ფქვილი, სქელი რძე, თხილი, კართოფილი,—საპონი ხელის საპონი და სარეცხის, ამერიკული კალოშები, ჩაი სხვა და სხვა ფირმების სადებავები, ფეხსაცმლის საცხი, მამაკაცის და ქალის წინდები, ამერიკული საზოგადოებიდან მიღებული პალტოები ქალის და კაცის, ღვინოები ნაფარეული, და სხვა ფირმების პორტვეინი, მადერა, ხერესი და სხვა ტკბილი ღვინოები.

75

გამგეობა.

ბურჟუაზიის ახალი მახინაცია

მსოფლიოს ყურადღებას ამ ჟამად იპყრობს ამერიკის მეთაურობით მოწვეული კონფერენცია ქ. ვაშინგტონში. იქ დასმულ საკითხებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მსხვილ სახელმწიფოებისათვის, ისე მცირე ერებისათვისაც. ბურჟუაზია ახალი გზის ძებნაში, მსოფლიო ომით გამოწვეული დანგრეული ეკონომიური ცხოვრება ჰსურს მას მოაწესრიგოს, ისევ ჩააყენოს განვითარების ჩვეულებრივ პირობებში. რა არის ამისათვის საჭირო? უპირველესად ყოვლისა ზავი, მშვიდობიანი ურთიერთობა, მებრძოლ ძალების განიარაღება. ბურჟუაზიული სამყარო მზადაა დააყაროს ფარ-ხმალი, აიღოს ხელი იმპერიალისტურ პოლიტიკაზე, რა თქმა უნდა—დროებით, ოღონდ ის დანაკლისი აინაზღაუროს, რომელიც მიაყენა მას ევროპის ომებმა. ეს ერთი სადღეისო საგანი კაპიტალისტთა კლასისა. ბურჟუაზია ამ გზით ვერ გაიხადებს ოცნებებს, ბურჟუაზიულის გზით და კაპიტალიზმის საშუალებით მსოფლიოს სამეურნეო ცხოვრების მოგვარება შეუძლებელია, მიზანშეუწონელი, პალიატიურია. ბურჟუაზიული წარმოება უმთავრესად ანარქიული ხასიათისაა, მასში არ არის დაცული სისტემა, განსაზღვრული საჭირო საქონელთა რაოდენობა. წარმოების ჰარმონიული ორგანიზაციის შექმნა-განმტკიცება შეუძლია მხოლოდ მუშათა კლასს, მშრომელ მასსას. შრომის ნაყოფიერების მაქსიმუმის მიღება მაშინაა შესაძლებელი, როდესაც მწარმოებელი უშუალოდ დაინტერესებულია ნაწარმოების ღირსებასა და რაოდენობაში. მაშასადამე, კაცობრიობა უნდა დაადგეს სოციალისტურ აღმშენებლობითი პოლიტიკის წარმოების გზას, წინააღმდეგ შემთხვევაში თავს ვერ დააღწევს იგი იმ ჯადოსნურ წრეს, რომელშიაც მოაქცია ბურჟუაზიამ. რუსეთის რევოლუციის მთელი ყურადღება სწორედ აქეთკენაა მიპყრობილი. ან დღეს დანგრევა კაპიტალის ძველ წესის წარმოებისა, ან კვლავ ომები, ახალი ტანჯვები, საშინელებანი—ასეთია ალტერნატივა. ბურჟუაზია ნათლად გრძნობს იმას, რომ რევოლუციის იდეები იზრდება დღითი დღე მსოფლიო მასშტაბით, რევოლუცია ღებულობს საერთაშორისო ხასიათს. რევოლუციის დამცველი ძალაა საბჭოთა რუსეთი. მაშ ჰკა მაგას! გაჰკივის ბრიან-ჯორჯის კომპანია და აი კიდევაც სცდილობს ბურჟუაზია ვაშინგტონის კონფერენციაზე რუსეთის რევოლუციას სულთათანა უგალობოს. ამისათვის მან ახალ ხრიკებს, ახალ მახინაციას მიმართა: არ დაუშვას კონფერენციაზე რუსეთის წარმომადგენელი. ამრიგად, ჩვენ ფაქტის წინაშე ვსდგევართ: რუსეთის,—რასაკვირველია, მასთან რუსეთის საზღვრებში მომწყვდეულ მცირე ერების, ბედი სწყდება რუსეთის დაუკითხავათ. ეს არის საზიზღრობა, ძალადობა, ამას ვერ მოითმენს რუსეთის მშრომელი ხალხი, მისი სასიცოცხლო ინტერესები. ეკონომიურად დაცემული ბურჟუაზია იმდენად დაეცა ზნეობრივადაც, რომ ივიწყებს საერთაშორისო უფლების და „კაცთმოყვარეობის“ იმ ელემენტარ მოთხოვნილებებს, რაზედაც მუდამ გაჰკიოდა იგი. ამ [illegible] მეტად მკვეთრია და სასტიკი ამხ. ჩიჩერინის ნოტა ყველა სახელმწიფოსა და მშრომელი მასების მისამართით გამოქვეყნებული. დიახ, როგორც ნათქვამია ნოტაში, რუსეთი სრულებით არ სთვლის თავს ვალდებულად მიიღოს ის დადგენილება კაპიტალისტთა კონფერენციისა, რომელიც იქნება მიმართული მის წინააღმდეგ. ეს კი ჰბადებს ახალ შეჯახებას, ახალ კონფლიქტების აუცილებლობას ახლო მომავალში.

მომავალი დაგვანახებს რა სახეს მიიღებს დღევანდელი პოლიტიკური კომბინაციები. მიაღწევს თუ არა „სავალდებულო“ დადგენილებებით ვაშინგტონის კონფერენცია რევოლუციის აქტიურ ძალების იზოლაციას...

საბჭოთა მთავრობის დეკლარაცია ომამდე აღებულ ვალების ცნობების შესახებ

საბჭოთა მთავრობამ გადასცა ანტანტის მთავრობებს, სახალხო საგარეო საქმეთა კომისრის ხელ მოწერილი განცხადება, რომელშიაც ის გამოსთქვამს თავის პრინციპიალურ თანხმობას იცნოს ომამდი აღებული მეფის მთავრობის ვალები, თუ მოკავშირეების საერთო საზავო ხელშეკრულებას დასდებენ საბჭოთა რუსეთთან და მისცემენ შიმშილის წინააღმდეგ საბრძოლველათ საჭირო კრედიტებს. საბჭოთა მთავრობა მოითხოვს საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას, სადაც ანტანტის სახელმწიფოები განაცხადებენ თავის პრეტენზიებს და საბჭოთა მთავრობა წამოაყენებს კონტრ-მოთხოვნებს ამ კონფერენციაზე, რომელიც მოაწესრიგებს საბჭოთა რუსეთსა და მის ყოფილ მოკავშირეებს შორის სადაო საკითხებს. საბჭოთა მთავრობის ეს ნაბიჯი მოითხოვს მთელ რიგ ახსნა-განმარტებებს, როგორც მსოფლიო პოლიტიკის ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი და როგორც დიდი ნაბიჯი საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკაში.

მალე შესრულდება 4 წელიწადი, რაც რუსეთის მუშებმა და გლეხებმა გააუქმეს მემამულეებისა და ბურჟუაზიის ძალა უფლება.

ბურჟუაზიული ქვეყანა შეირყა ამ დიდი ისტორიული ფაქტის გაგონებით და თავს აიმედებდა მხოლოდ იმ ფიქრით, რომ არ გაივლის რამოდენიმე კვირა და მუშა გლეხების ხელის უფლება გაისრისება. მოკავშირეებს ოფიციალურათ ლაპარაკიც არ სურდა ჩვენთან. გაიარა კვირეებმა კი არა—თვეებმა. საბჭოთა მთავრობამ გადაიტანა ბრესტის ზავისაგან შექმნილი მეტად დიდი კრიზისი, მიუხედავად იმისა, რომ უბედობით ცხოვრება გერმანიის სამხედრო რეჟიმის შიშის ქვეშ და პურის სამშობლო-სამხრეთ რუსეთი დაჭერილი იყო გერმანიის ჯარების მიერ. როდესაც მოკავშირეებმა გადასწყვიტეს დაეწყოთ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლა საბჭოთა ხელის უფლება უკვე ღრმად იდგამდა ფესვებს მასებში. ის, რასაც უწოდეს დიდ სამოქალაქო ომს დაწყებული ჩეხო-სლოვაკების აჯანყებიდან და გათავებული ვრანგელის ავანტიურით, რესპუბლიკის ყველა ფრონტებზე დიდი ბრძოლები—არსებითად წარმოადგენდა ანტანტის სახელმწიფოების ჯვაროსანულ გალაშქრებას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, რუსეთის ბურჟუაზიას თავის თავის საშუალებებით შეეძლო მხოლოდ ტერორისტულ თავდასხმების მოწყობა და აქა იქ წვრილი უკმაყოფილებების გამოწვევა.

საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომის მოსაწყობათ საჭირო იყო დახმარება მოკავშირეებისაგან, რომლებიც ხარჯავდენ მილიონებს თეთრი არმიის შესადგენად და მოსყიდული პირების შესანახავად. პერეკოპის ბრძოლაში დამარცხებით გათავდა მოკავშირეების ომის პირველი პერიოდი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

იმ მომენტიდან, როდესაც მოკავშირეებმა შეწყვიტეს თეთრი ჯარების ფულით დახმარება, რუსეთის კონტრ-რევოლუციამ, მიუხედავად მისი განუზომელი სიძულვილისა რუსეთის მუშაგლეხების მიმართ, ვერ შესძლო ომის დაწყება ჩვენ წინააღმდეგ; და ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ ჩვენ დავამარცხეთ არა თუ რუსეთის თეთრგვარდიელები, არამედ გავიმარჯვეთ შეიარაღებულ ბრძოლაში ანტანტის ჯარებზედაც. მოკავშირეების მოთხოვნა, რომ ჩვენ ვიცნოთ მეფის ძველი ვალები, საუკეთესო დამამტკიცებელია მათი რწმენის: საბჭოთა რუსეთი იყო, არის და იქნება.

მაგრამ მოკავშირეების სამხედრო გამოლაშქრებამ, რომელმაც ვერ შესძლო ჩვენი დამარცხება, გადააქცია რუსეთი წამებისა და ნანგრევების ხნარად, მრეწველობა დაეცა ომის გამო; მრავალი წლების განმავლობაში ის ვერ იღებდა ვერავითარ მანქანებს და იარაღებს; მრეწველობა შერჩენილი ძალებით ემსახურებოდა ომის საჭიროებებს და ამით შესაძლებელი გახადა ჩვენი გამარჯვება ჩვენ მოგვცა გამარჯვება, მაგრამ მან ვერ შესძლო გლეხისათვის მიეცა მისთვის საჭირო საგნები. გლეხობის მეურნეობა არ იღებდა არავითარ იარაღებს და ამავე დროს უნდა ესაზრდოებინა 5 მილიონიანი არმია. მისი შემცირებული წარმოებითი ნაყოფიერება კიდევ უფრო დაეცა. საბჭოთა რუსეთს არ შეუძლია ჩქარი ტემპით აღადგინოს თავისი ეკონომიური ცხოვრება მარტო საკუთარი ძალებით. სანამ გრძელდებოდა მსოფლიო ომი დაიმედებული ვიყავით, რომ ის აადუღებდა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციონურ მოუმზადებლობამ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის და პროფესიონალური კავშირის ბელადების გამცემლურ პოლიტიკამ ხელი შეუწყო ბურჟუაზიას გამოსულიყო დემობილიზაციის კრიზისიდან, მაგრამ ბურჟუაზიას არ შეუძლია ხელახლა მოაწესრიგოს მსოფლიო კაპიტალის მსვლელობა: უდიდესი მსოფლიო კრიზისი, რომელმაც შეარყია კაპიტალიზმის საფუძვლები, ამის საუკეთესო მოწმეა.

(დასასრული იქნება).

კ. რადეკი.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ

(რ. კ. პ. ც. კ. კავბიუროს რეზოლიუცია)

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების განცალკევებული არსებობა აუძლურებს მათ კაპიტალისტური და ბურჟუაზიული ქვეყნების წინაშე; მჭიდრო პოლიტიკური კავშირი უზრუნველყოფს მათ ყოველგვარ თავდასხმისაგან კონტრ-რევოლუციონურ ძალების მხრით და განამტკიცებს საბჭოთა ხელისუფლებას ახლო აღმოსავლეთის მიჯნაზე.

პოლიტიკური გაერთიანება რესპუბლიკებს საშუალებას მისცემს ნამდვილად დაამყარონ ურთიერთშორის მჭიდრო სამეურნეო კავშირი, რომლის დადების ცდა არა ერთხელ ყოფილა წარმოებული. ხოლო რესპუბლიკების განთავისუფლება ამწვავებდა ამიერ კავკასიის ისედაც მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას, ხალხის მასსების სიღატაკეს და დაბეჩავებას და იწვევდა მრავალ გაუგებრობას რესპუბლიკებს შორის. ამიერ-კავკასია წარმოადგენს მთლიანს სამეურნეო ერთეულს და მისი ეკონომიური განვითარება შეიძლება წარმოებდეს მხოლოდ საერთო კავკასიის სამეურნეო გაერთიანების გზით. დასასრულ, მრავალრიცხოვანი სახალხო კომისარიატების და დაწესებულებათა არსებობა სამ რესპუბლიკაში ნთქავს ბევრ ძალას და საშუალებას, ქმნის ბევრ ორგანოებში ზედმეტ პარალელიზმს მუშაობაში. ამიტომ სახელმწიფოებრივი ცხოვრების მთავარი და უმნიშვნელოვანესი დარგების საერთო ძალ-ღონით ადმინისტრატიული მმართველობა გააძლიერებს და გაანაყოფიერებს საბჭოთა მუშაობას.

გამომდინარე რა აქედან, კავბიურო გადაუდებელ საჭიროებად მიაჩნია რესპუბლიკებს შორის ფედერატიულ კავშირის შეკვრა პირველ ყოვლისა სამხედრო, სამეურნეო, ფინანსიური მუშაობის და საგარეო პოლიტიკის სფეროში.

ახალი ამბები

— ტფილისში გაიხსნა მოკლე ვადიანი კურსები (1 თვის) შრომის ინსპექტორებისა. პირველი ლექცია პოლიტიკურ ეკონომიისა წაკითხული იქნა ამხ. ორახელაშვილის მიერ.

გლეხის სახლი. მუხრანის ხიდთან გაიხსნა გლეხის სახლი, რომელშიაც მოწყობილია სასტუმრო 80 კაცისათვის ტფილისში პირადულ, ან საზოგადოებრივ საქმისათვის ჩამოსულ გლეხებისათვის. წესდება გლეხის სახლისა შემუშავებულია პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობის მიერ.

— **პროფ. კავშირის** შრომის დაცვის განყოფილებამ დაათვალიერა ყველა ტფილისის ქარხნები და აღნიშნა მთელი რიგი ზომები მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

— **ამხ. მარიამ პლატონის** ასული ორახელაშვილი, მოსკოვიდან დაბრუნების უმალ შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას სახალ. განათლების კომისრის მოადგილეობისას.

— **ახალი წიგნები.** ჩვენმა რედაქციამ მიიღო პოლიტიკურ განათლების მთავარი მმართველობისაგან გამოცემული შემდეგი წიგნები: 1. „რევოლუციის პოეტები“ ტ. ტაბიძისა და გ. ლეონიძის რედაქტორობით. 2. ნ. შიუკაშვილის, „სულელი, 3. „ფაკერია“—მერიმესი—4. „ნ. ლენინი“—ნევსკის 5. კომუნისტი ქალი—კიშროვი,6. „ოთხი წლის ბრძოლა“—კაპრინსკი—7. „უოლტ უიტმენი“—ვ. კოტეტიშვილი, 8. „არსენა“—ვ. ბარნოვი, 9. სკოლას გარეშე საგანმანათლებლო მუშაობა სოფლად.

— **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ამხ. ხომლელის მიერ ნათარგმნი წიგნი ლ. ტოლსტოისა „ცუდი სახურავით გაკეთებული სკის ისტორიის ორი სხვა და სხვა ვერსია.

— **ტფილისის მაზრის მილიციაში,** მაზრის მილიციის უფროსის მოადგილის მოხსენების თანახმად გამოირკვა რომ მაზრაში ძალიან გავრცელებულია ყაჩაღობა. მილიცია ვერ არის უზრუნველყოფილი მატერიალურად და მასთან საჭირო შტატის უქონლობის გამო შეუძლებელი ხდება ბანდიტებთან ბრძოლა. მაზრის რევკომმა ყოველივე ეს მიიღო მხედველობაში და დაადგინა: 1) რაც შეიძლება მოკლე ხანში მოეწყოს სისხლის სამართლის მილიცია, 2) მიღებულ იქმნას ზომები მილიციის უზრუნველსაყოფად; 3) ვინაიდან ბანდიტებთან ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს ტელეგრაფს ეთხოვოს სათანადო უწყებას დაჩქარებით აღადგინონ ტელეგრაფი.

— **იუსტიციის სახალხო კომისარიატში.** იუსტიციის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა „საბჭოთა სისხლის სამართლის სახელმძღვანელო დებულება“, რომელსაც მიზნად აქვს რეპრესიის საშვალებით დაიცვას საბჭოთა საზოგადოებრივი ურთიერთობის წყობილება. დებულება შეიცავს 6 თავსა და 32 მუხლს.

— **ქალაქის ტრამვაი.** თანხმად ტფილისის კომიტეტის დადგენილებისა ამხ. ასრიევი დაინიშნა ტრამვაის დირექტორად, ხოლო ინჟ. მირეელოვი დირექტორის მოადგილედ.

— **მარგანეცის დატვირთვა** დიდის წარმატებით გრძელდება ყოველ დღიურად იტვირთება 700 ტონი, ნაცვლად 300 ტონისა, რომელიც აღნიშნული იყო ხელშეკრულებაში.

— **კომპოზიტორ გოგნიაშვილმა** დაამთავრა ახალი ოპერა „ქრისტინე“ ნინოშვილისა, რომელიც მალე დაიდგმება სახელმწიფო ოპერის სცენაზე.

— **პროლეტარის ყავახანა,** მზგავსად მოსკოვისა ტფილისში გაიხსნება პროლეტარის ყავახანა სახელწოდებით „პროლეტარიატის ხელოვნების სალონი“ იქვე გახსნილი იქნება ბიბლიოთეკა სამკითხველო და მოწყობილი იქნება მუდმივი კონცერტები. პროლეტარის მგოსნები გამოვლენ ახალი ლექსების დეკლამაციით.

— **რედაქცია მორიგ ნომერში** გამოსთქვამს თავის შეხედულებას ამიერ. კავკასიის ფედერაციის შესახებ.

— **შრომის ბირჟა.** შრომის ბირჟის განყოფილებამ განიზრახა შრომის ბი-

გარის გატარების გზით შეკეთებული იქნება კახეთის რკინის გზა ნავთლუღიდან გურჯაანამდე. სამუშაოთ საჭიროა 10,550 კაცი დღეში

— დამზადება ტყის მასალისა. საგარეჯოს რაიონში შრომის ბეგარის გატარების გზით განზრახულია დამზადება ტყის მასალებისა ფართო მაშტაბით, რომლისათვის საჭიროა 2000 კაცი დღეში.

— პეტრე მირიანაშვილმა ფრანგულად თარგმნა ქართული ლეგენდები: ამირანი, როსტომი და აბესალომ და ეთერი რომელიც მოკლე ხანში გამოიცემა საზღვარ გარეთ.

— საექიმო შემოწმება. ახლო მომავალში მოხდება საექიმო შემოწმება ყველა მუშებისა და ფაბრიკის მოსამსახურეთა ტფილისის წარმოებებში, რათა გამორკვეული იქნეს მუშაობის მავნე პირობები ამა თუ იმ წარმოებისა. იმ მუშებს და მოსამსახურეებს, რომელნიც სნეულნი აღმოჩნდებიან აღმოეჩინებათ სათანადო დახმარება.

პარტიაში

მთავარი კომიტეტის მდივნის ნახვა შეიძლება ყოველ დღე დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათამდე გაზ. „ტრიბუნის“ რედაქციაში.

—

პარტიული სამკითხველო. პარტიის ცენტრალურ ბიუროში გაიხსნა სამკითხველო. სამკითხველოში ყოველ დღიურად არის რუსეთისა და ჩვენი ქვეყნის ყველა პერიოდული გამოცემანი. ამ დღეებში დაიწყება წიგნების გაცემა. სამკითხველო ღიაა სალ. 5—9 საათამდე. სამკითხველომ შეიძინა ახლად გამოცემული პოლიტიკური წიგნები.

—

მემარცხენე სოციალ.-ფედერალისტთა ახალგაზრდათა დრ. მთავარი კავშირი აცნობებს ამხანაგების საყურადღებოთ, რომ წევრთა რეგისტრაცია სწარმოებს ცენტრალურ ბიუროს ახალგაზრდათა ოთახში ყოველ დღე 9—2 საათამდე.

ახალგაზრ. დრ. კავშირი.

—

დღეს ნოემბრის 15. საღამოს 7 ს. 20 წ. დანიშნულია ახალგაზრდა მემარცხენე სოციალისტ ფედერ. პოლიტიკური წრის პირველი სხდომა პარტიულ ცენტრალურ ბიუროში (ახალგაზრდათა ოთახი № 8) წევრებს ვთხოვთ დაესწრონ.

მემარცხ. სოც. ფედ. ახალგაზრდათა კავშირის დრ. მთავარი გამგ.

რუსეთი

მოსკოვი. პარტიის გაწმენდის მიზნით რუსეთის 4 გუბერნიაში კომუნისტურ პარტიის 38158 წევრთა რიცხვიდან გამორიცხა 4.759 კაცი, რომელშიაც მომეტებული წილი ინტელიგენტებია.

მოსკოვი. 12 ნოემბერი. საბჭოთა ხელისუფლების შემოსვლამდე სახალხო განათლება ყირიმში შესაბრალ მდგომარეობაში იყო. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ყირიმში მოქმედობს 490 სკოლა, რომელშიაც ითვლება 40,000 მოწაფე. ალუშტაში იხსნება სასოფლო სამეურნეო ტეხნიკუმი 3 წლის კურსი.

მოსკოვი. 12 ნოემბერი. უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში პეტლიურას ბანდა პოლონეთის ტერიტორიიდან იჭრება უკრაინაში.

დანციგში გამოსული გერმანულ ენაზე პოლონური გაზეთი სენსაციურ ცნობებს იუწყება სათაურით: „საბჭოთა ხელისუფლების გადაგდების წინ უკრაინაში“ გაზეთი იუწყება რომ დანციგიდან პარიზში ჩამოვიდა უკრაინელი გენერალი ზელინსკი. მისი ჩასვლა უკავშირდება საბჭოთა მთავრობის ჩამოგდებას უკრაინაში: ამას გარდა დანციგში იმყოფება რამდენიმე უკრაინელი მოღვაწე, რომელთაც დამოკიდებულება აქვს [illegible]. ამ თათბირს დაესწრო ერთი გამოჩენილი გენერალი, რომლის სახელი დაფარულია საიდუმლოებით იფარება. ასეთ [illegible] პოლონურ გაზეთისას [illegible] საფუძველი აქვს, რადგან ის დაკავშირებულია იმ ამბებთან, რომელიც ხდება პოლონეთ უკრაინის საზღვრებზე, რომლიდანაც გადადიან პეტლიურას მეამბოხე რაზმში.

მოსკოვი. 12 ნოემბერი. პოლონელი გაზეთები გაიძახიან საბჭოთა მთავრობის ჩამოგდებაზე უკრაინაში. ასეთი ცნობები პოლონეთის გაზეთებისა აიხსნება პოლონეთ უკრაინის საზღვრებზე და ჩეხო-სლოვაკიაში პეტლიურას ახალი რაზმების მოვლენით და მათი მიხტომით საბჭოთა ტერიტორიაზე. ეს მიხტომა წითელ არმიელთა რიგში იწვევს სამართლიან აღშფოთებას, რომელნიც ყოველ წუთს მზად არიან გასრისონ პოლონელი ავანტიურისტების მიერ გამოგზავნილი ბანდები.

უცხოეთი

ლონდონი. ნოემბრის 1-ს „ტაიმსი“ სწერს: ვაშინგტონის განიარაღების კონფერენცია ღებულობს საგრძნობელ ფორმას და მალე მიიღებს საერთაშორისო მოვლენის ხასიათს. მიუხედავათ ამისა ფაქტები გვიჩვენებს, რომ ინგლისის პოლიტიკური წრეები ანგარიშს არ უწევენ კონფერენციის მნიშვნელობას. ვაშინგტონის კონფერენციის მიერ განსახილველი საკითხები ეხებიან ყველა ქვეყნების კეთილდღეობას და უშიშროებას და მათ რიცხვში ინგლისისას დათანაც იმ ხიფათიდან თანდათანობით ამოსვლას, რომელშიაც ჩაყენებულია ეკონომიური ცხოვრება; „ტაიმსი“ შემდეგ აღნიშნავს ამერიკელ კორესპონდენტების ცნობებს, რომ ევროპაში არსებობს ერთგვარი პესიმიზმი და გულგრილობა. ინგლისი ფიქრობს, რომ თვით ცხოვრება შეარიგებს შეიარაღებისადმი გიჟურ მისწრაფებას. მაგრამ თუ მოვლენანი თავისთავად იქნენ რა მდგომარეობაში ჩავარდება მსოფლიო ძნელი სათქმელია. ამაზე დაფიქრებაც საშიშარია მოვლენათა ბუნებრივი სვლა მიგვიყვანს მეტოქეობის გაძლიერებამდე. სასწრაფო შეიარაღებამდე და საერთაშორისო დაუნდობლობის იმდენად განვითარებამდე, რომ მცირე ოდენი შემთხვევას შეეძლება გამოიწვიოს გაუსწორებელი კატასტროფა. ფართოთ გატარებული უნდა იქმნას დიდი პასუხისმგებლობის შეგნებით მშვიდობიანობის მიღწევის ცდა ყველა ქვეყნებთა შორის. ეს შეთანხმება მიგვიყვანს აუტანელ ეკონომიურ უთანხმოებიდან განთავისუფლებამდე და დაუსრულებელ შინაურ და გარეშე საშიშროების თავიდან აცილებამდე. უნაყოფო უმუშევრობა და ინგლისის ეკონომიური კრიზისი, ისე როგორც სხვა ქვეყნებისა დამოკიდებულია ევროპის საერთო მდგომარეობაზე. ის, რაც მოხდება წყნარ ოკეანეზე მას უშუალოთ გავლენა ექნება ყველა ქვეყნების ეროვნულ კეთილდღეობაზე. ინგლისის გულგრილობა ვაშინგტონის კონფერენციისადმი უდრის თვით-მკვლელობას.

მოსკოვი. ნოემბრის 12 ს ქრისტიანიიდან იტყობინებიან, რომ სრულიად ნორვეგიის პროფ. კავშირების ორგანიზაციების ყრილობამ, რომლებიც აგებულია წარმოების პრინციპზე ერთხმად აღიარა სურვილი პროფ-ინტერნში შესვლისა.

მოსკოვი. ნოემბრის 12-ს ამერიკის მთავრობას აზრათ აქვს წარუდგინოს ვაშინგტონის კონფერენციას თავისი აზრი, რომ მან შეიმუშაოს საფუძვლები საერთაშორისო დამოკიდებულებისა, რომელიც იქმნება გამაფრთხილებელი დიდი სახელმწიფოების საშიშარ ქიშპობისათვის ჩინეთში და გამოძებნის საშუალებას საზღვაო შეიარაღების შეზღუდვისათვის. ამერიკა მისწრაფის ყველა იმ ხელშეკრულების გაუქმებისადმი, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული სახელმწიფოს განსაკუთრებულ უპირატესობას და შეამცირებს მათ გავლენას. იაპონიამ უნდა შეინარჩუნოს სფერო ეკონომიური ინტერესებისა სამხრეთ მანჯურიაში და აღმოსავლეთ მონღოლეთში. ჩრდილო მონღოლეთი და აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზა უნდა იქნეს საერთაშორისო. და ტერიტორია შორეულ აღმოსავლეთ რესპუბლიკისა უნდა იქნეს ჩაყენებული საერთაშორისო კონტროლის ქვეშ. ეს მოახდენდა იაპონიის ევაკუაციას ვლადივოსტოკში და სახალინის ჩრდილო ნაწილში. ამასთან ერთად მოისპობოდა ანგლო-იაპონიის კავშირი, რომელიც იწვევს აშკარა უკმაყოფილებას ამერიკის ხალხში.

მოსკოვი. ნოემბრის 10. „იზვესტიას“ მოწინავე სტატია აღნიშნავს გერმანიის მობრუნებას აღმოსავლეთის პოლიტიკაში. დღემდე გერმანიის მმართველი კლასები ღებულობდნენ ორიენტაციის საბჭოთა მთავრობის დაუძლურებისას და დაცემისას, ეხლა ქარმა მეორე მხრით დაბერა. არკვევს რა ამ მობრუნების მიზეზებს, „იზვესტია“ სწერს: გერმანიისათვის ზემო-სილეზიის საკითხის სამწუხარო გადაწყვეტამ, მისთვის არა სასარგებლოდ საზავო ხელშეკრულობის გატარებამ, საბოლოოთ დაარწმუნა გერმანიის ბურჟუაზია, რომ რაიმე დათმობის ლოდინი მოკავშირეებისაგან უბრალო თავის მოტყუებაა და თუ მას სურს თავის გადარჩენა უნდა დაადგეს დამოუკიდებლად მოკავშირეებისა, აღმოსავლეთის პოლიტიკას, კერძოთ კი დაუახლოვდეს საბჭოთა რუსეთს. მოლოდინის პოლიტიკა აშკარად და საბოლოოდ გაკოტრდა. მეორე მიზეზი პოლიტიკაში მობრუნებისა არის უკანასკნელი საბჭოს ნოტა. საბჭოთა მთავრობის მიერ ძველი ვალების მიღება, თუ გვინდ რადიკალურად შეცვლის საერთაშორისო მდგომარეობას საბჭოთა მთავრობისას, ამისათვის გერმანიის მთავრობა ეშურება დაიჭიროს თავისუფალი ადგილი, რომელიც ჯერ არავის არ დაუკავებია. „იზვესტია“ გერმანიის პოლიტიკურ ცვლილებას სრული კმაყოფილებით ხვდება. გაზეთი სწერს: სჯობს გვიან იყოს, ვიდრე არასოდეს. თუ რომ გერმანიის მთავრობა ნამდვილად მოისურვებს პოლიტიკის ახალი კურსის აღებას საბჭოთა რუსეთის მიმართ, ამის წინააღმდეგ ჩვენ არაფერი გვეთქმის; ჩვენ ყოველთვის ვიდექით იმ თვალსაზრისზე, რომ ნორმალური პოლიტიკური და ეკონომიური დამოკიდებულების აღდგენა გერმანიისა და საბჭოთა რუსეთის შორის ორთავე მხარისათვის გამოსადეგია.

მოსკოვი 14 ნოემბერს ვაშინგტონის კორესპონდენტი პარიზის გაზეთი „მატენის“ იმედს გამოთქვამს, რომ ვაშინგტონის კონფერენცია გატარდება საფრანგეთის საკეთილდღეოთ, თუ რომ 24 ნოემბრისათვის არ ჩამოვა ლოიდ ჯორჯი ეს „ცბიერების დედალი“, როგორც მას უწოდებს კორესპონდენტი. ლოიდ ჯორჯი თავისი მოსვლით შეიტანს არევდარევას კონფერენციაზე.

პოლონეთი. 14 ნოემბერი. პილსუდსკი გასვლით იმუქრება, თუ რომ სეიმი არ მოიწონებს ფედერატიულ თვალთახედვას შუა ლიტვის ტერიტორიის გადაწყვეტაზე არჩევნების დროს.

— დომსკიმ დასტოვა თანამდებობა.

— ვარშავაში ცხენოსანმა პოლიციამ ინვალიდების მანიფესტაციის გაფანტვის დროს დასჭრა 15 ინვალიდი და ორი ქალი. ერთი ინვალიდი გზაში გარდაიცვალა საავადმყოფოში წაყვანის დროს.

მოსკოვი. ნოემბ. 14. რუს. სოც. ს. რესპუბლიკის სრულ უფლებიანმა წარმომადგენელმა ობოლენსკიმ 11 ნოემბერს ნოტით მიმართა პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სადაც აღნიშნული იყო რუსეთის ელჩის პოლონეთში ცხოვრების მძიმე პირობები, გამოწვეული პოლონეთის პოლიტიკურ აგენტების მიერ. შინაგანი ზომები, მიღებული პროვოკაციისაგან თავდაცვის მიზნით სრულიად დამაკმაყოფილებელი არ არის. რუსეთის დიპლომატიურმა მისიამ რამდენჯერმე მიმართა პოლონეთის საგარეო სამინისტროს რომ შეპყრობილი ყოფილიყო უფრო სხვილი პროვოკატორები მაგრამ ჯერ ისევ უფრო მავნე წვრილფეხა აგენტები განაგრძობენ თავიანთ გამანადგურებელ მუშაობას სამტრო ატმოსფერის შესაქმნელად. დასასრულ რუსეთის ელჩი იმედს გამოსთქვამს, რომ პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო დაეხმარება მას პროვოკაციასთან ბრძოლაში.

მოსკოვი 10 ნოემბერი. სხვა და სხვა სახის ინგლისის პრესა შეუდგა საბჭოთა მთავრობის უკანასკნელ ნოტის შეფასებას, მიუხედავად მათი პრინციპიალური დამოკიდებულებისა საბჭოთა რუსეთთან ინგლისის სხვა და სხვა გაზეთები ამა თუ იმ ფორმით გამოსთქვამენ, რომ ამ ნოტამ თავის საბოლოო შედეგით უნდა დააბრუნოს რუსეთი ევროპიელ ერთა წრეში. უმთავრეს მნიშვნელობას საბჭოთა მთავრობის ნოტას აძლევს ლიბერალური გაზეთი „დეილი ნიუსი“ რაც მეტად ვაკვირდებით ნოტას სწერს გაზეთი, იმდენათ აშკარად ხდება მისი მნიშვნელოვანი შედეგი. სოვეტიზმი ტარდება დემოკრატიული მმართველობის ფორმით რომელიც რუსეთის ხალხის [illegible] აღორძინებს, მაგრამ ამ აღორძინებისათვის საჭიროა მაშველება.

ნიუ-იორკი. ნოემბ. 9. განიარაღების კონფერენციის საჭიროებისათვის დაარსეს რადიო სადგური მარკონი, რომელიც დამოკიდებულებას იქონიებს ინგლისთან, იტალიასთან, იაპონიასთან, სამხრეთ ევროპასთან და სამხრეთ ამერიკასთან.

ნიკოლაევი. ნოემბ. 9. მოელიან პოლიტიკურ გადატრიალებას ათონში, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება შექნას პირობები მოლაპარაკებისა ქემალისა და საბერძნეთს შორის.

რომი. ნოემბრის 10 ინგლისის მთავრობამ მიმართა საფრანგეთის ელჩს ლონდონში ნოტით, რომელშიაც პროტესტს აცხადებს წინააღმდეგ საფრანგეთისა და ანგორის შორის ახლახან დადებულ ხელშეკრულებაზე. ინგლისის პრესა სასტიკ პროტესტს აცხადებს ამ ხელშეკრულების წინააღმდეგ და აღნიშნავს ანგლო საფრანგეთის კავშირის დარღვევის შესაძლებლობას ამ ნიადაგზე.

პარიზი ნოემბრის 10 პოლონეთსა და ჩეხო სლოვაკელებს შორის პოლიტიკური ხელშეკრულება ხელმოწერილია. ამ შემთხვევის გამო მოწყობილ ბანკეტზე ჩეხო სლოვაკელთა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ახლად ხელმოწერილი ხელშეკრულება თანასწორად აკმაყოფილებს ორთავე მხარეს. პოლონეთისა და ჩეხო-სლოვაკიის ბედი მჭიდროთ გადაბმულია. დამოუკიდებლობა და თავისუფლება პოლონეთისა უზრუნველყოფს ჩეხო სლოვაკიის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას. ამისათვის ორთავე მხარემ მხარი უნდა მისცეს ერთმანეთს. ბანკეტზე გამოითქვა იმედი რომ მომავალში ყოველგვარი გაუგებრობა და დავა ორთავე მხარის მიერ გადაჭრილი უნდა იქმნას საურთიერთო გაგებით და მეგობრობით.

მოსკოვი. 10 ნოემბერი. საფრანგეთის მთავრობის სააგენტო იუწყება, რომ ამერიკის ელჩმა ლივერპულში თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ამერიკის ინგლისის და საფრანგეთის კავშირი შეუძლებელია.

ნიკოლაევი. 9 ნოემბერი. თანახმად ანგორისა და საფრანგეთის ხელშეკრულებისა საფრანგეთი მოვალეთ სთვლის თავის თავს დაეხმაროს ქემალის მოთხოვნილებაში შესახებ სმირნის, ფრაკიის და ადრიანოპოლის დაბრუნებისა, საფრანგეთი სცნობს ოსმალეთის სუვერენიტეტს კონსტანტინეპოლში და სრუტეებზე. ოსმალეთი მოვალეთ ხდის თავის თავს მისცეს თავისუფალი გასვლის საშუალება ყველა სრუტეებში დიდს სახელმწიფოებს და „კარგავს უფლებას დარდანელის გამაგრებისა. საფრანგეთი პირდება ოსმალეთს სესხს. ოსმალეთი აღიარებს საფრანგეთის გავლენის ზონას თანახმად სევრის ხელშეკრულობისა.

ბერლინი. 27 ოქტ. „ბერლინ ტაგებლატი“ იუწყება, რომ საბჭოთა მთავრობამ მოსკოვში დაამყარა შემდეგი ოფიციალური კურსი უცხო ქვეყნის ვალიუტაზე გირვანქა სტერლინგი 131000 მანეთი, ამერიკის დოლარი 62,000 მან. გერმანიის მარკა 623 მან. ტალერი 90 მან. ოქროს მანეთიანი 100,000 მანეთი.

პარიზი. ნოემბრის 10—9-ს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიიღო ლატვიის წარმომადგენელი, რომელმაც წარუდგინა რწმუნების გრამოტა. ლატვიის წარმომადგენელმა გრასველმა იმედი გამოსთქვა მეგობრული კავშირის განმტკიცებაზე რომელიც ძველშივე არსებობდა საფრანგეთსა და ლატვის შორის.

ბორდო. ნოემბრის 10-ს ამიერკავკასიის ყოფილი უმაღლესი კომისარი გრაფი დე მარცელი დაინიშნა ამ ჟამად საფრანგეთის წარმომადგენლად ლატვიაში და წარუდგინა ლატვიის წარმომადგენელს პროექტი ფრანგ-ლატვიელთა სავაჭრო შეთანხმებისა.

რომი. სამხრეთ სლავის ტელეგრაფ. სააგენტოს ცნობით ალბანიის ფრონტზე სერბიის წინააღმდეგ მოქმედ ნაწილებში არიან იტალიელები. ეს ცნობები ოფიციალურად უარყოფილია იტალიის საგარეო მინისტრის მიერ.

მოსკოვი. ნოემბ. 9. იაპონიის გაზეთები თხოულობენ მეგობრულ კავშირის დამყარებას რუსეთთან. იაპონიამ გადასწყვიტა ჯარის გაყვანა ციმბირიდან.

ბერლინი. ნოემბ. 9. სამხრეთ სლავიამ დაიკავა პურგაძ აროჩი და წინ იწევს ალბანიის ტერიტორიაზე.

ლონდონი. ლონდონის პრესა დიდ მნიშვნელობას აძლევს სლავიის და ალბანიის შორის მომხდარ კონფლიკტს და მოითხოვს ამის გამო ერთა ლიგის საბჭოს მოწვევას.

ლონდონი, ნოემბრის 10. 9 ნოემბერს ბრიანი საფრანგეთის დელეგაციასთან ერთად ნიუ-იორკში ჩავიდა, საიდანაც ვაშინგტონში მიემგზავრება.

დადგენილება № 91

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

მთავრობის აქტების ძალაში შესვლის წესის შესახებ.

1. მთავრობის აქტები, როგორიც საკანონმდებლო დეკრეტი, დადგენილება, ბრძანება, განკარგულება და სხვ. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ გამოცემული, აგრეთვე სათანადო აქტები ცალკე კომისარიატის მიერ გამოცემული,—ძალაში შესულად ჩაითვლება დღიდან მათი „შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოამბე“-ში გამოქვეყნებისა, ხოლო ადგილობრივად დღიდან მიღებისა „შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის მოამბის“ იმ №-ის, სადაც დაბეჭდილია ზემოხსენებული აქტი,—გარდა [illegible] სადაც ძალაში შესვლის დრო [illegible] აქტშია აღნიშნული.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მის გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე.

ბ. მდივანი.

იუსტიციის სახალხო კომისარი

ს. ქავთარაძე.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხადარაძე.

1921 წ. ნოემბრის 9.

ტფილისი—სასახლე.

ბრძანება № 89

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

რადგანაც დიდი საჭიროებაა—წითელი არმიის სამხედრო ნაწილებისათვის ლაშქრის სამგზავრო ქვაბები მომარაგებულ იქნეს,—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ბრძანებს:

1. ჩამოერთვას ყოველ სამოქალაქო დაწესებულებას და კერძო პირს, გარდა სამხედრო უწყების საწყობებისა,—ლაშქრის სამგზავრო ქვაბები ყოველგვარი სახისა და ჩაბარდეს სამხედრო უწყებას.

2. ყოველი სამოქალაქო დაწესებულება და კერძო პირი ვალდებულია, არა უგვიანეს ერთი კვირის ვადისა, ამ ბრძანების ადგილობრივად გამოქვეყნების დღიდან, ჩააბაროს ზემოხსენებული სახის ქვაბები მაზრის სამხედრო კომისარიატს ან სამხედრო უწყების სათანადო ორგანოს.

დამნაშავენი ამ ბრძანების აუსრულებლობისათვის მიეცემიან სასტიკ პასუხისგებაში რევოლიუციონური დროის კანონების მიხედვით.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარი შ. ელიავა.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხადარაძე.

1921 წ. ნოემბრის „9“

ტფილისი—სასახლე.

—

ბრძანება № 90

საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წლ. ნოემბრის 8-ს დადგენილებით, ამხ. მიქელოვი და მანდიაშვილი დაინიშნენ საქართველოს უზენაეს რევოლიუციონური ტრიბუნალის კოლეგიის დროებითი წევრებად 1921 წლ. ნოემბრის 25-დე.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე

ბ. მდივანი.

რევკომის მდივანი ალ. ხადარაძე.

1921 წ. ნოემბრის 10.

ტფილისი—სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.

ამა მიმდინარე წლის აგვისტოს რიცხვებში სახლიდან უნებურათ გაიპარა შვილი ჩემი

პეტრე გრიგოლის ძე
ანთაძე

მოწაფე დიდუბის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის 13 წლის. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ ვსთხოვ გვაცნობოს შემდეგი მისამართით: ტფილისი რტიშჩევის ქუჩა № 11 ეკატ. ანთაძეს. ან სოფელი იახვი ოზურგეთის მაზრა გრიგოლ ანთაძე.

72 გრიგოლ ანთაძე.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური დარგის სტუდენტმა მიხეილ კვეტაშვილმა დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული „უნივერსიტეტიდან ჩაითვალოს გაუქმებულად.

74

განცხადება

დავკარგე სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მოცემული პირადობის მოწმობა რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს ამიერიდან გიორგი ხორსელი.

69

გიმნაზიის მასწავლებელი
ამზადებს მოწაფეებს
სპეც. ქართული, საზოგადო ისტორია
მისამართი: იკითხეთ „ტრიბუნის“ რედაქციაში.